

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური
თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნების
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი**

1	17 სექტემბერი	- საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება. - საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შემუშავება/დამტკიცება. - არჩევნების გამართვის, საარჩევნო დებულების შესრულებისა და მისი ერთგვაროვანი გამოყენების მიზნით, ასევე, საარჩევნო დებულებით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულებისა და ვადების დაცვის შეუძლებლობის შემთხვევაში ცესკოს მიერ განკარგულებით საარჩევნო პროცედურებისა და საორგანიზაციო ღონისძიებების განსაზღვრა. - არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ცესკოს აპარატის შექმნა და დამტკიცება.
2	20 სექტემბერი	- ამომრჩეველთა ერთიანი სია წარმოადგენს თსუ-ს აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სტუდენტთა სიას ფაკულტეტების მიხედვით. - ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენა თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. (საწყისი ვადა) - ცესკო რეგისტრაციის დაწყებამდე თსუ-ის მიერ მოწოდებული სტუდენტთა მონაცემების საფუძველზე განსაზღვრავს სტუდენტთა ერთიან და საუბნო სიებს. (საწყისი ვადა) - ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია არჩევნებამდე 7 დღით ადრე, შესაბამისად, ამომრჩეველთა სიის ფორმირების ბოლო ვადაა 5 ოქტომბერი. თუ სტუდენტის მონაცემები არ იქნება ან არასწორად იქნება დაფიქსირებული ამომრჩეველთა სიაში, სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს ცესკოს სიაში შეყვანის ან ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობისა და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენით. - ცესკო ან/და ცესკოს დავალებით საუბნო საარჩევნო კომისიები ფაკულტეტების დეკანატებთან უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ერთიანი სიების საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ვერსიის გამოკრასა და სიაში უზუსტობასთან დაკავშირებული განცხადების ცესკოსთვის წარდგენის წესს. - კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნებისათვის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმალური რაოდენობის დადგენა დამოუკიდებელი კანდიდატებისა და სტუდენტური ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. - მხარდამჭერთა სიების (მხარდამჭერ ამომრჩეველთა აღრიცხვის დოკუმენტის) დოკუმენტის ფორმის დადგენა. - საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია ხორციელდება არანაკლებ 5 დღის ვადაში. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია მოიცავს ცესკოში დადგენილი წესით განცხადების თანდართული დოკუმენტაციით წარდგენას, ცესკოს მხრიდან განცხადების განხილვას, ხარვეზის

დანართი

		არსებობის შემთხვევაში, ხარვეზის გამოსწორებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრას და შემდგომ რეგისტრაციას. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, ცესკოს მხრიდან დაუყოვნებლივ საარჩევნო სუბიექტის ინფორმირება. რეგისტრაციის მიზნებისათვის, ცესკოს შესაბამისი სამსახური (აპარატი) ამოწმებს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს ცესკოს საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ მხარდამჭერთა სიების თაობაზე განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში. 9. საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის კენჭისყრის დღისათვის კენჭისყრის ოთახების გამოყოფისათვის ცესკოს მიმართავს თსუ ადმინისტრაციას (საწყისი ვადა). ცესკო თსუ ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი კენჭისყრის ოთახების ვარგისიანობაზე იღებს გადაწყვეტილებას და არჩევნებამდე 7 დღით ადრე (5 ოქტომბერი) აქვეყნებს ინფორმაციას კენჭისყრის ოთახების მისამართების თაობაზე. 10. კენჭისყრისათვის საჭირო ინვენტარის თაობაზე ცესკო მიმართავს თსუ ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ცესკოს მოთხოვნის შესრულება. (საწყისი ვადა) 11. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისათვის ცესკო მიმართავს თსუ ადმინისტრაციას ფაკულტეტებთან კოორდინირებული კომუნიკაციისათვის და ფაკულტეტებზე შესაბამისი რაოდენობის უბნების მიხედვით არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 ადამიანის გამოყოფის თაობაზე. (საწყისი ვადა) 12. დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის საწყისი ვადა. დამკვირვებელ ორგანიზაციას დადგენილი წესით, განცხადებისა და სანოტარო წესით დამოწმებული ორგანიზაციის წესდების ცესკოსათვის წარდგენა უნდა მოხდეს არჩევნებამდე არაუგვიანეს 5 დღისა, 7 ოქტომბრისა (ბოლო ვადა). ცესკო გადაწყვეტილებას ორგანიზაციის დამკვირვებლად რეგისტრაციის თაობაზე იღებს განცხადების მიღებიდან 2 დღეში. ორგანიზაციას დამკვირვებლად რეგისტრაციის შემდეგ შეუძლია დანიშნოს დამკვირვებლები და შესაბამის პირთა სია განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ცესკოს არჩევნებამდე არაუგვიანეს 2 დღისა, 10 ოქტომბრისა (ბოლო ვადა). ცესკო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი სიის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 1 დღეში და გასცემს შესაბამის დამკვირვებლის მოწმობას. 13. საარჩევნო სუბიექტმა თავისი წარმომადგენლის (დამკვირვებლის ფუნქციების მატარებელი) დანიშვნის თაობაზე ცესკოს მიმართავს არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, 9 ოქტომბრისა, ხოლო ცესკო საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის თაობაზე იღებს განცხადების მიღებიდან 1 დღის ვადაში და გასცემს შესაბამის მოწმობას. (საწყისი ვადა) 14. დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტთა მოწმობების ფორმების დამტკიცება. 15. საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ბეჭდისა და რეგისტრატორთა ბეჭდების ნიმუშების ფორმების განსაზღვრა. 16. კენჭისყრის დღის პროცედურებისათვის ლუქის ფორმის განსაზღვრა.
--	--	--

დანართი

3	6 ოქტომბერი	1. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ბოლო ვადა. იმ შემთხვევაში თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, ცესკო გადაწყვეტილებას იღებს წევრთა დამატების თაობაზე. ასევე, თუ რომელიმე ფაკულტეტის რომელიმე უბანზე ვერ მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება დადგენილ ვადებში, ცესკო 2 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ფაკულტეტზე საუბნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე. 2. საარჩევნო ბიულეტენის, სპეციალური კონვერტის, საკონტროლო ფურცლის, სადემონსტრაციო და შემაჯამებელი ოქმების ფორმების დამტკიცება. 3. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობისა და ბათილობის საფუძვლების განსაზღვრა. 4. საარჩევნო სუბიექტთათვის ნომრების მინიჭება.
4	7 ოქტომბერი	ქვევის კოდექსზე ხელმოწერა
5	9 ოქტომბერი	1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გადამზადება კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებით. 2. საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომების გამართვა. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა (თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი) არჩევა და ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადაცემა.
6	11 ოქტომბერი	1. კენჭისყრის ოთახების მოწყობა და შესაბამისი ინვენტარის გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7	12 ოქტომბერი	1. საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
8	12 ოქტომბერი	არჩევნები
9	15 ოქტომბერი	1. განცხადება/საჩივრის განხილვის ბოლო ვადა. ცესკოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმებისა და საარჩევნო დავების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს არჩევნების შედეგებს, ადგენს თსუ თვითმმართველობების არჩევნების შედეგებს ფაკულტეტების მიხედვით და ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.
10	22 ოქტომბერი	არჩევნების დასრულებიდან 10 დღის ვადაში ცესკო თსუ-ის ადმინისტრაციას წარუდგენს ანგარიშს არჩევნების ჩატარების შესახებ.